



საიამ „ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აქტუალური საკითხები“ კვლევის შედეგების პრეზენტაცია გამართა

ა.ნ. 28 მარტს, საიამ კვლევის **„ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აქტუალური საკითხები“** პრეზენტაცია გამართა.

კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, კვლევაში გაანალიზებულია ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე სახელმწიფოს რეაგირების ეფექტიანობა. კვლევის მიზნებისთვის, საიამ შეისწავლა და შეაფასა სამართალდამცავი ორგანოების რეაგირების, ასევე პროკურატურისა და სასამართლოს მიდგომების, მოძალადეებისა და ძალადობის მსხვერპლთათვის სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისები.

სახელმწიფომ მსგავს საქმეებზე რეაგირების გაუმჯობესების მიზნით არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადადგა, თუმცა კვლავაც იკვეთება მთელი რიგი ხარვეზები და გამოწვევები. კვლევაში შეფასებულია როგორც პრაქტიკაში არსებული პრობლემები, ისე საკანონმდებლო ხარვეზები.

დაკვირვების შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- ძალადობის მსხვერპლებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ ძალადობის გამომწვევი მიზეზი ხშირად არის მოძალადეთა მხრიდან მსხვერპლის ქცევის კონტროლის სურვილი, მოძალადეების ნებასთან შეუსაბამო მოქმედება და ოჯახში არსებული დაქვემდებარებული და სტერეოტიპული როლები;

- საიას წარმოებაში არსებული საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ როდესაც ოჯახურ კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარე აცხადებს, რომ დაექვემდებარა ძალადობას, იკვეთება პოლიციის მხრიდან მსხვერპლის იდენტიფიცირების პრობლემა. მსგავს შემთხვევებში, შემაკავებელი ორდერი გამოიცემოდა როგორც მოძალადის, ისე მსხვერპლის მიმართ, რაც მიუთითებს პოლიციის მიერ მოძალადისა და მსხვერპლის გარჩევის სირთულეზე;

- შსს-ის წარმომადგენლებთან ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ სამართალდამცავი უწყების მხრიდან ეფექტიანი რეაგირება გამომწვევაა, როდესაც მსხვერპლი თავს იკავებს ძალადობის თაობაზე ინფორმაციის მინოდებისგან ან/და აქვს გამოძიების დანყებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება;

- ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ შემაკავებელი და დამცავი ორდერების მონიტორინგის მიზნით, არ ტარდებოდა პროაქტიული ღონისძიებები სამართალდამცავთა მხრიდან. ორდერის პირობების დარღვევის გამოვლენა უმეტესად მსხვერპლის ინიციატივაზე იყო დამოკიდებული. მართალია, 2018 წლიდან შსს-ში დაინერგა ორდერების მონიტორინგის მექანიზმი, თუმცა, საიას მოთხოვნის მიუხედავად, არ მოგვანოდეს ინფორმაცია, თუ როგორ მუშაობს აღნიშნული მექანიზმი;

- 2017 წლის პერიოდში შესწავლილი 102 გადაწყვეტილებიდან, პროკურატურის მხრიდან მხოლოდ 2(2%) შემთხვევაში იყო გამოკვეთილი გენდერული დისკრიმინაციის მოტივი. რაც შეეხება 2018 წელს, შესწავლილი 131 გადაწყვეტილებიდან 3(2%) შემთხვევაში მოხდა დისკრიმინაციული მოტივი გამოკვეთა ბრალდების მხარის მიერ; სასამართლომ არცერთ შემთხვევაში არ გაიზიარა პროკურორის არგუმენტაცია დანაშაულის დისკრიმინაციულ მოტივთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად გენდერული ნიშნით დანაშაულის ჩადენა არ გამოყენებულა;

- განაჩენების ანალიზმა ცხადყო, რომ ოჯახური დანაშაულების ჩადენისას, ძირითადად, განაჩენი დგება ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე. დადებითად აღსანიშნავია, რომ 2018

